ნოემერი
ეძღვნება
დავით კლდიაშვილის
დაბადების 120 წლისთავს

ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახ. ზ. ლომაძისა

ნისაბეჭდი

2 83

ნ.ხ. ფოტრჩხიძისა

დავით კლდიაშვილი

ბიბლიოთეკა

გაშლის ქართველი მამა-პაპათ ძვირფას სურათებს
და საუკუნეს, მეცხრამეტეს, მიაყურადებს!
„ბრძენი ილია!“ „გმირი ვაჟა!“ „ცეცხლი აკაკი!“ —
ვიცით ცხოვრების დიდებულის მათის ავ-კარგი!
ვიცით, რას იქმდა უკვდავების ღირსი სამება,
ბარათაშვილის, მარტოსულის, ვიცით ნამება!..
კი, ყველა ვიცით — არდათმობის, თმობის, მიყოლის,
ორბელიანის ღენერლობაც ვიცით, გრიგოლის!..
მაგრამ ამ მკაცრმა, თვალჭროლამ და მიმინოს მსგავსმა,
სერვანტესივით გამხდარმა და გამხმარმა კაცმა,
ვინ, ვინ უმადლის, ანუ, ვკითხო, კინ მეტყვის ახლა,
სიცოცხლის რისკით სხვაზე მეტი კაცურად რაც ჰქნა?!
შეფს „ჩერნომორსკი ვესტნიკისას“, რედაქტორს შავბნელს,
ჩვენს ქართველ ხალხზე დიდმპყრობლურად აუგის მჯღაბნელს,
ვინმე პალმს გვარად, მიაფურთხა ცხვირ-პირში ხიზღით
ხელთათმანი და გასნორება მოსთხოვა სისხლით!..
მაგრამ ამ კაცმა, — ვინც დაგვჯღაბნა ბარბაროს ხალხად, —
ნუ იტყვით, თურმე, მიცვალებულს ჩვენ ცუდად ვმარხავთ, —
არა — საჩქაროდ, — წესისამებრ ძვირფასის მათის, —
არამედ ვუხდით პარაკლისებს, მივაგებთ პატივს!..
კი! კი! ამ ჩვარმა, რა მიადგნენ გმირი რაინდის
სეკუნდანტები — კლდიაშვილის, დიდი დავითის —
შეშინდა, დაფრთხა, არ ინდომა შებრძოლებოდა
და, რაკი ნამხდარს, კავკასს აღარ ედგომებოდა,
მიხიკ-მოხიკა ხურდა-მურდა, დაზოგა ტყავი
და, ლაფდასხმული, ოდესაში ამოყო თავი!..
ხოლო ვინ იყო კაცი იგი, ვისი დამარხვაც —
ღირსი პატივით — არ მოსწონდა ჩვენს მტერს ხმამაღლა?!
გამოსათხოვრის ნაცვლად ერზე პასკვილს სტამბავდა!
ვის აგინებდა?! აბდაუბდას თახსირს ლამბავდა?!
კაცს ფილასოფოსს, კაცს ზეგარდმო ნიჭით ხვავრიელს!
მას, მამას ნმინდას, ეპისკოპოსს, მამაც გაბრიელს,
ვისი სახელიც რუსეთს იქით, ბრიტანეთს ჟღერდა,
დობროლიუბოვი მორიდებით ვის წიგნზეც ნერდა,
ვის ნეშტს ილიამ მონინებით თაყვანი ჰკადრა
და ვისაც სიტყვა ერის მამის დაადგა ნათლად!..
რა აწუხებდა, გულს რა სჩხვლეტდა რედაქტორს შავბნელს?!
რა არ მოსწონდა მეფის სატრაპს, დამსმენს და მჯღაბნელს?! —
სიცოცხლე ერის! — კი, დღესავით არის ნათელი!..
და, სხვა თუ მიხვდა, მიმხვდარია ამას ქართველი!
გაშლის პოეტი მამა-პაპათ ძვირფას სურათებს
და ქარაშოტებს იმპერიულს მიაყურადებს!..
და არსს ბრძოლისას მშობელს თვისას ხალხს დაანახვებს
და გამოარჩევს დიდთა შორის კაცს არანაკლებს!
„აგერა — კაცი!“ — იტყვის იგი და ხელს მიაშვერს
სერვანტესს ჩვენსას, მამას ჩვენთვის, დავით კლდიაშვილს!..
და დასძენს ნყნარად: ლხინად უჩნდათ მსგავსნი თამაშნი, —
უხორცოსაებრ იყვნენ როსმე კაცნი მამაცნი!“
და რა ჰქნას ერმა, რა გაანყოს, არ ჰყავდეს ოდეს
ქომაგი მსგავსი — გაფოფრილი მიმინო კორდის?!

მურმან ლებანიძე

კაცობრიობა აღისრულებს თავის სანატრელს!

●

ჩემს სიცოცხლეში არავისთვის დამიცინია. მე მებრალებოდა ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. რასაც ვწერდი, მხოლოდ ადამიანის სიყვარულით ვწერდი.

●

რა იყო ისეთი ჩემი ცხოვრება, ჩემს თავზე ვილაპარაკო?!. ვისთვის იქნება ეს საინტერესო?! ეს ხომ ტრაბახი გამოვა?!

●

მხატვრულ ნაწარმოებში მთავარია სოციოლოგიური მომენტი.

●

ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია.

●

ქართული ენა შვენებით სავსეა... მისით მშვენივრად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთება...

●

ქართული გიმნაზია თავის გამგიდან, დაუვიწყარ იოსებ ოცხელიდან, უკანასკნელ მასწავლებლამდინ — შეგროვება იყო ერთგვარი ფანატიკოსების, ერთგვარი იდეით გატაცებულით, რომელნი განსხვავებული გატაცებით მუშაობდნენ მომავალი თაობის აღსაზრდელად.

●

ბედს ვერ დავემდურები — ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავედ.

●

პირველი სწავლა დედაჩემმა დამაწყებინა, შემდეგ, რაკი საჭირო იყო რუსული ენის ცოდნა, მამაჩემმა მიმიყვანა ერთ რუსის ოჯახში... კარგად მიმიღო ორთავემ, დიდად მომეფერენ... დიდი ამაგი დამდეს ამ ივანოვმა და მისმა ცოლმა, ვარვარა ნაუმოვნამ. მათ სულ მოკლე ხანში შემასწავლეს ენაც, წერაც და კითხვაც.

●

ქართველი მწერალი ვალდებული იყო, საზოგადოებრივ ასპარეზზე ებრძოლა. უმეტესი დრო ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაბმული ვიყავით. **ვიბრძოდით იმისათვის, რომ გვქონოდა ქართული გაზეთი, ქართული სკოლა, წიგნი, სტამბა, თეატრი, ჩვენი მთავარი საზრუნავი ეს იყო. თითქმის მთელი ჩვენი ენერგია აქ იხარჯებოდა.**

დავით კლდიაშვილი

ნახ. ბ. ფირცხალავასი



— „საცხა ჩვიჩეხება ახლა ის უბედური!..“

— „ესმის ახლა ვითომ მაგას რამე?“

— „უკაცრავად ვართ ამისთანა მცირე მასპინძლობაზე, მარა, რადგან ნაუცბებია, ვითომ ამისთვის გვეპატიება!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ ბერხანაძეს,

პარიზის თეატროლის რაიკომის პირველს მდივანს

გადამდგარის პოდპოლკოვნიკის, მწერალ დავით სამსონის ძე კლდიაშვილისაგან

ბატონო ჩემო!.. არცთუ კანტიკუნტად მესმის საამო ხმები ჩემი მშობლიური რაიონის დიდს ასპარეზზედ გამოსვლის გამოისობით. იმასაც კი ამბობენ — **სენაკსა და ხონს,** გინდაც **ოზურგეთს** არაფრით ჩამოუვარდებაო. მიხარიან გულით და მიკვირს დიდად!..

ჩემი **კაროჟნას** გათხოვებას წარმოვიდგენდი და **ყვირილაზე** გადაჯგიმული მაგ ასორმოცმეტრიანი ხიდის აშენებას — ვერასდიდებით!

ყრმათა გამოსაჯანმრთელებლად და დასასვენებლად სანაქებო ქალაქი გაგიშენებიათ — **„საპოვნელა“! სატურიის** ცენტრში საუცხოო სამხატვრო გალერეა გაგიხსნიათ! **ჭიშურაში** საკუთარს ბროლს ხარშავთ თურმე!.. რას არ მოესწრება ცოცხალი კაცი!..

ესეც არ გიკმარიათ! — შესანიშნავი **ჯვარსაწერი** სახლი წამოგიჭიმავთ — **„ვაზის ყვავილობა“! ნავენახევში** კარსტული მღვიმე აღმოგიჩენიათ ტურისტების **განსაცვიფრებლად** და **ჩხარში** იმოდენა კულტურის სახლი აგიგიათ, პოლკის სალდათებს დაიტევს თურმე!

მამიჩემის, სამსონის, სულს გეფიცებით, როგორც მე სათვალე მოვიმარჯვე და **შექსპირის** ქვეყანას ამაყად გადავავლე თვალი — რა მომაფიქრებდა, რომ მსოფლიოს ხალხთა შემოქმედების **ლონდონის** ფესტივალზედ თერჯოლის **„იმერეთიც“** მიიღებდა მონაწილეობას და თანაც ასეთის ტრიუმფით!..

სულ ახლახანს კი ისეთს ამბავს მოვკარი ყური, შემძრა ერთთავად — მალე **თერჯოლურ შამპანურსაც** გამოუშვებენო! საოცარია, ფრანგულის გარდა, შამპანური არც მსმენია არასდროს!..

ამას წინათ ერთმა მწერალმა მორიდებით წამჩურჩულა: მე ბედნიერად გრაცხ, იმ დროს რომ მოგიწია ცხოვრება, თორე ამჟამად ხელი მოგეცარებოდაო უთუოდ, რადგან თერჯოლაში ღატაკს, **აზნოუშვილს** კი არა, გლეხსაც ვერ წააწყდებიო ვერსად!..

ისე, ჩვენში დარჩეს და, მაგოდენი საბავშვო ბაღი და სკოლა რომ წამოგიწკაპავთ სოფლებში, რას მივაწეროთ ეს?! იქნებ მოხდა სასწაული და ჩვენი ხალხი დაადგა ერთადერთს გონივრულ გზას — შვილთა მრავლობას!..

ჩემი იუბილეისათვის თავს გიხრით მდაბლად!.. ჰო, მართლა: ეს მ ხ ე ი ძ ი ს ყმაწვილი რომელია ნეტავ, რომ არ მაგონდება?! არადა, რომ არ მცნობდეს, რანაირად გამოიყვანდა ჩემს ქანდაკს?!.

ჩემი **სერგო,** ალბათ, კი გიდგასთ გვერდში. ავი და კარგი მაგას არ ეშლება საერთოდ, მაგრამ, მაინც ახალგაზრდა ეთქმის ჯერ და, თუ ამაგი სათანადოდ ვერ დაგიფასოთ, ღვთის გულისათვის, ნუ დამიტუქსავთ!..

თქვენთვის და მთელის საქართველოსათვის ბედნიერების მარად მსურველი დავით კლდიაშვილი.



ნახ. მ. აბაშიძისა

— ახლა, ნეტავ, რაღა გაჭირვება ადგას ქამუშაძეს?!
— რაც ჩვენი ქალაქის გარეუბანში გადმოვიდა საცხოვრებლად და ავტონანილების სანყობი ჩაიგდო ხელში, ისე გასუქდა, მისივე აშენებული სახლის აივანზეც ვეღარ ეტევა!..

კირილე მიმინოშვილის კვალდაკვალ

„ორი დღე ვცხოვრობთ და ისე წავიდეთ, არაფერი მოვიხვეჭოთ?!“

კირილე მიმინოშვილის მსოფლმხედველობიდან

„იმ ჩემ მამიდას ვენაცვალე მე, იმ ჩემ მამიდას!.. ტყიბულში მივდივარ-მეთქი, წამამცდა გუშწინ. გედეირია, მარა, რა გედეირია: ხო იცი, ბიჭოო (ახლაც ბიჭოს მეძახის, იმას დეენაცვლოს თავისი ძმიშვილი!), ჰოდა, ხო იცი, ბიჭო, ნათლიე რო მყავს იქინე მუხურაში, ამბერკოო, იმის ქალიშვილს გაუცოდვილებია სამედიცინო სასტავლებელი თბილიში და ექთნად - უნდა მამიწყო, შარშან რო ტყიბულში მედსანნაწილი ააშენეს, იმაშიო! ახლა მე ვუთხარი: ეგ რომელ მედსანნაწილში, მამიდაჩემო, ქე რომ 1978 წელს დაიწყო მშენებლობის სამინისტროს მე-7 ტრესტმა (დირექტორი — **კ. უჩანეიშვილი**) გაერთიანება „საქნახშირის“ დაკვეთით (გენერალური დირექტორი — **ბ. სანიკიძე**), ორი მილიონ სამას ოცდაოთხი ათასი მანეთის სამუშაოები რომ უნდა შეესრულებინათ და 1981 წლისათვის პირნათლად ჩაებარებინათ მთავრობისათვის-მეთქი?! კიო, მაგ მედსანნაწილშიო, ვარდი გედეეფინა სახეზე, იმ ჩემ მამიდას ვენაცვალე მე, იმ ჩემ მამიდას!.. შევწუხდი ერთობ, მარა იმხნის ქალს ახლა ხომ ვერ მოვატყუებდი: ჩაბარეს კი არა, 1982 წლის დამდეგისათვისაც მხოლოდ 400.000 მანეთი იყო ათვისებული-მეთქი, რომ მივახალე მშენებლებზე გაბრაზებულმა, გული გადაუქანდა. კიდევ კაი, კოსტაიაა თუ პროსტაია, იმან შემაშველა ჭიქა წყალი, თვარა... მოგიწევდათ სატირალში მოსვლა!..

ხომ არ ფიქრავხართ, მომშორდა, ან სხვა თემაზე გედევიდა?! ისევ საქმის ჩაწყობა არ შემომთავაზა?! მაშინ აპა, პატარა ძმაი რო ყავს იმ ჩემ ნათლულს, ჭიჭიკიე, ის მაინც მამიწყვე პროფტექნიკურ სასტავლებელშიო! შარშანნინ დეიწყეს მისი მშენებლობა და აქობამდე უსიკვტილოდ ააშენებდნენო! რას სწავლობენ იმ შენს პროფტექნიკუმია თუ პროსტტეხნიკურში-მეთქი, ჩვეეძიე. მამიდაჩემს ხარატობა გინდა, ზეინკლობა გინდა, მხერხაობა გინდა, რა ვიცი, შახტას რაც ჭირდება, ყოლიფერს იმაშვებიენო! მეიცა, მეიცა, მეიცა-მეთქი, ახლა მე ვუთხარი. ეგ რომელი პროფტექნიკურია, მილიონ სამასი ათასი მანეთი რომ უნდა დამჯდარიყო მისი შენობის აშენება და გასულ ენკენისთვეში მოსწავლეები რომ უნდა მიეღო-მეთქი?! ოო, სტორეთ ეგ ტეხნიკუმია და მამიწყვე, რა მოხდებაო!.. ყრონტზე მიიდო ხელი, იმ ჩემ მამიდას ვენაცვალე მე იმ ყრონტში!.. ჯერ ფანჯარაში გავყავი თავი და ამინდზე ჩამოვუგდე სიტყვა, იქნებ მივუფუჩეჩო-მეთქი, მარა, არაფერი შეგეშალოსო, ისე გამომხედა. მეც ავდექი და მივუგე: ეგეც ჩეიშალა, რადგან იმ მილიონ სამასი ათასიდან, ჯერჯერობით მხოლოდ 35 ათასი მანეთია ათვისებული-მეთქი! ეგ კიდო არაფერი, მიუხედავად ორმხრივი ხელშეკრულებისა, მოიჯარადრეს საერთოდ არ შეუტანია 1982 წლის გეგმაში სასწავლებლის მშენებლობა და, ბუნებრივია, გაკეთებულიც არაფერია-მეთქი!.. უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა, იმ ჩემ მამიდას ვენაცვალე მე, იმ ჩემ მამიდას! ჯერ თევზივით მომაჭყიტა თვალები გაოგნებულმა, მერე ტუჩზე ამაფარა ხელი და შემოღადა: რასაც ახლა გეტყვი, კირილე, თუ იმაზეც უარს გამიცხადეფ, ძმიშვილობიდან უნდა ამოგშალოო! ცრემლი მამერია ამის გამგონეს, მარა ქჩორტუ ზედმეტი მგრძნობიარობა-მეთქი, გაკიკლე გულში და ომახიანად ვუთხარი: არ გვყვანან ჩვენ, მამიდაჩემო, ძმიშვილობიდან ამოსაშლელი ძმიშვილები, არც გვყოლია და არც არასდროს გვეყოლებიენ-მეთქი! თქვი, რაც სათქმელი გაქ, შენი ხმალი და ჩემი კისერი-მეთქი!.. მეუბნება: ვეღარ ვიხსენებ ახლა, ზენათის თავგასიებული ბიჭი რო დეიბადა, რომელი წელი იდგა, არ ვიცი სამოცდასამი, არ ვიცი სამოცდაშვიდი, ეს კი მახსოვს, იმ წელიწადს პირველად მოვიგეთ ბურთაობაო! სამოცდაოთხი წლის ნოემბერი იყო, მამიდაჩემო, მაგას რა დამამიწყებს-მეთქი!.. ხოდა, ე, მაშვინ რო ტყიბულ-ცხრაჯვრის საბაგირო გზის გაყვანა დეიწყეს, აქნობამდე, დაამთავრებდენ კი არა, კიდევაც გაარემონტებდენ და ის ჩემი ნათლული იქ მაინც დაანიშვნიე სადმე სალაროში, ბილეთების გამყიდველადო!..

გავშრი კაცი, მარა რა გავშრი!.. მართლა და მართლა, თვრამეტ წელიწადს რომ ერთ პატარა საბაგირო გზას ვერ გეიყვან, რაღა მშენებლობის სამინისტრო გქვია და რიღასი მე-7 ტრესტი ხარ-მეთქი, გავიფიქრე გულში და საბრალო მამიდაჩემი მაინც დავაიმედე: ნუ გეშინია, მამიდა, ჩვენი დინამოელები რომ მესამედ გახდებიან ჩემპიონები, იმ წლიზა აქვთ გეგმაში იმ გზის დამთავრება და დავანიშვნინებ, აპა, არ დავანიშვნინებ-მეთქი?! ვითომც შარშან აპირებდნენ ჩვენები ჩემპიონობას, გადამეხვია და გადამპროშნა იმ ჩემ მამიდას ვენაცვალე მე, იმ ჩემ მამიდას!.. გული რომ შეიჯერა, ანკრად გადავუკარი სიტყვა: ტყიბულს გარდა, ნათლულები სხვა ახლომახლო რაიონებშიც ხომ არა გყავს-მეთქი და, ვიდრე ხმას ამოიღებდა, ახლა მე ავაფარე შეშფოთებულმა პირზე ხელი...“

კირილეს მონაყოლი მოისმინეს „ნიანგის“ კორესპონდენტებმა:
გიზო ზარნაძემ და
ტარიელ ჩარქსელიანმა.

ნიანგისაგან: როგორც შემდგომ დადგინდა, ფელეტონში დახახელებული სამშენებლო ორგანიზაციის მესვეურებმა (სამივე ობიექტს მე-7 ტრესტი აშენებს) შეძლეს უკუმიკროფონტერვიუს აღება ფელეტონის ავტორებისაგან. გთავაზობთ სტენოგრაფიულ ჩანაწერს:

მშენებლები: კი მაგრამ, კირილე მიმინოშვილის დევიზი რომ მიგიწერიათ სათაურქვეშ, ისე წავიდეთ, არაფერი მოვიხვეჭოთო, რის მოხვეჭაზეა ლაპარაკი?!

ავტორები: სახელის მოხვეჭაზე, რასაკვირველია!..

მშენებლები: სახელის?!. მაშინ გვაპატიეთ, უკაცრავად შეწუხებიხათვის!..

ავტორები: იცოცხლეთ!.. თუმცა მოითმინეთ, მოითმინეთ, თქვენ რის მოხვეჭა გეგონათ?!

აკაკი ბაქრაძე

ისევ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუსტრაციები ზ. ლეშავასი

როცა გვიანი შემოდგომა ბუნებას გააშიშვლებს, სხივდაღლილი მზე გაკრეფილ ვენახებს, აჩალულ ყანებს, ფოთოლგაცვივნულ ტყეებს გააშუქებს, მოახლოებული ზამთრის ქარი ყვითელ ფოთლებს ჰაერში ააფრიალებს, ხოლო კაცის გულს სევდა და კაეშანი შემოაწვება, იმერეთის ორლობეებში ყველაზე დუხჭირი ფანტაზიის მქონე ადამიანიც კი დაინახავს:

ფერდებჩაცვივნულ, ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებულ პლატონ სამანიშვილს და მასთან მოსაუბრე ადვოკატ ივანე გვერდევანიძეს..

სოფელ-სოფელ ჯორით მოჯირითე სოლომან მორბელაძეს...

უკვე აღებულ ყანაში მოფუსფუსე ეფროსინე ქამუშაძეს, აქა-იქ შემორჩენილ ტაროებს რომ დაეძებს...

თავისი დაქცეული ქოხის წინ, ჯირკზე ჩამომჯდარ, დამუნჯებულსა და დაჩაჩანაკებულ ლევან ქამუშაძეს...

წმინდანის უყურადღებობითა და უსულგულობით გაოცებულ და გაოგნებულ კაცია საგუნაშვილს...

ხორციელად ლამაზსა და მოხდენილ, მაგრამ სიღარიბით დაბეჩავებულ და ცხოვრების ხალისწართმეულ კაროჟნა ქარსიძეს...

ღობესთან გაქვავებულ, დაღლილ-დაქანცულ, გაფითრებულ და პირგამეხებულ ფეფენას, რძალსა და აზნაურ დავით კარუგდელაძეს რომ მისჩერებია...

მოწნულ კარავთან მდგომარე უცნაურ ბერიკაცს, მიქელა გიორგაძეს, სნეულ შვილიშვილს გრძელ ჯოხზე ჩამოცმული ქოთნით რომ აწოდებს საზრდელს....

საიქიოდან დაბრუნებულ ვასილ კარიკაძეს, რომელიც პირდაბჩენილ მეზობლებს უამბობს იმქვეყნად ხილულსა და გაგონილს..

ჯორზე გადამჯდარ მხიარულ ხუცესს, ვისაც უკვე დავიწყებია, სად არის თეთრი ზღვა თუ პეჩორის ლავრა და გვარის იმედად ათი-თერთმეტი წლის ბიჭი რომ მიჰყავს სასულიერო სასწავლებელში...

ეკლესიის ეზოში თავმოყრილ მრევლს, სინანულითა და საყვედურით სავსე სიტყვებით რომ ამუნათებს მღვდელი...

რამ გამოიწვია საყვედური? რა დანაშაულს მოჰყვა იგი?

ერთი საყანე ადგილი კაცია საგუნაშვილმა შესასვენებლად გაუშვა. მიწა მოღალული იყო და მოსავალს აღარ იძლეოდა. ამ შემთხვევით ისარგებლეს სოფლელებმა და შესვენებული ადგილი გზად გადააქციეს. თავდაპირველად კაცია საგუნაშვილს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მერე, როცა გადაწყვიტა შესვენებული ადგილის ისევ ყანად დამუშავება, სოფელმა თემშარა აღარ დათმო. არც კაცია იხევდა უკან და არც სოფელი. საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ წაგებული კაცია დარჩა. სოფელმა თავისი გაიტანა. ამან კაცია საშინლად გააბოროტა. განსაკუთრებით შეიძულა მეზობელი ანდრია ჭურაშვილი. დაბოღმილი კაცია ყველა ავკაცობას ანდრიას აბრალებდა. რაკი სამართალი ადამიანთა შორის ვერ ჰპოვა, საშველად კაცია საგუნაშვილმა წმინდა გიორგის ხატს მიმართა. ანდრია ჭურაშვილი დასწყევლა და ხატზე გადასცა. ასე ფიქრობდა: წმინდანი მიუკერძოებლად გაარჩევდა მტყუანსა და მართალს და ანდრია ჭურაშვილს უთუოდ დასჯიდა.

მიდიოდა დრო და წმინდა გიორგის აზრად არ მოსდიოდა ანდრიას დასჯა. ჭურაშვილი ჩინებულად გრძნობდა თავს და მალე დაივიწყა ხატზე გადაცემაც და საგუნაშვილის მტრობაც.

ერთ დღეს, როცა წმინდა გიორგის ხატი ეკლესიის ეზოში გამოასვენეს და მღვდელმა ვედრებით მიმართა, კაცია საგუნაშვილი ხატთან მიიჭრა და ჰგმო წმინდა გიორგი!..

„— ესმის ახლა ვითომ მაგას რამე?.. ძაღლი ვიყავი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა მაგან?!“

კაციას მკრეხელობამ თავზარი დასცა ხალხს. არც კაციასათვის დარჩენილა უშედეგოდ წმინდანის გმობა. ბერიკაცი თანდათან

(გაგრძელება მე-6 გვ.)



დასხეულდა. დაუძლურდა, განმარტოვდა და შეშლილს დაემსგავსა.

როცა კაცია საგუნაშვილი მოკვდა, სოფელმა იგი სასაფლაოზედ არ მიიკითხა: **„ეკერ ციტრიგანი, ღმერთს ვანყვნინთ, რომ მისი მზამბალი ციტრითოთ“.**

კაცია საგუნაშვილის ამ გულზეიადობამან გამოინვია მღვდლის გულისტკივილი.

„შერისხვაში“ მკადიოდ ჩანს დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში ძირითადი თემაც და პრობლემაც — **ამპარტავნობა, გულზვიადობა, ცრუმორწმუნეობა.**

როცა მწერალი გალაკტიკეფილი ანზაორების ცხოვრებას გვიამბობს, კაცებრივ ამპარტავნობას ემატება ელასობრივი გულზეიადობაც.

მარადიული, მშრომელი და მუშაკაკაცი ოტია ქამეშაძე, მაგრამ ძალიან ეთაკიკეცა, თოხი რომ უჭირავს ანზაورს ხელში (**„ქამეშაძის გაჭირვება“**)

ერთ დღეს ვანას ხნავდა ოტია. დედამ სადილით მიაკითხა. ეს ოფლიანი ამბავი იყო, მაგრამ ოტია სირცხვილით დაიწვა, როცა, ეკვირნეს გვერდით, ცოლიც დაინახა. იგი არ ელოდა სონიას მოსვლას, არ უნდოდა ცოლს ენახა ანზაورი ოტია ქამეშაძე ყანაში, გლეხიკაცი გუთანსმოკიდებული. სონია ახალშერთული ბაყადი და ქალაქი ჯერ კიდევ არ იცოდა კარგად ქამეშაძისაკენ გასაჭირის სიღრმე-სიდიდე.

სონიასაც თავზარი დასცა ქმრის ამ მდგომარეობაში ნახვამ. ვერც ქალის ამპარტავნობა შეგიტეხოდა და შეჩვეოდა ანზაورის გლეხიკეთი მუშობას.

სონია ჯინჭარაძეკ-ქამეშაძე კინაღამ გაგიჟდა, როცა დედამთილმა უთხრა — ბაყმი გლეხ სამადაკეს უნდა მოვანათვალინოთ-ო!

ამპარტავნობა არც ბეღაკეი ჯინჭარაძეს აკლია, მაგრამ იმის უნარი კიდევ შერჩენია, დაინახოს ამ გარეკეების სარგებლიანობა ქამეშაძეკნის ოჯახისათვის. შვილი დაამშინაცა და დაიოთახება. ყოფილიყო სამადაკე პანაი ქამეშუშაძის ნათლია. ხოლო ღაზაკანდარა და შარახეტია პორფირი ბიაშვილი ცინიკურად ხითხითიდა — **„ნეტავი ეგ მომშათალოდეს ის ოჯახ-ბატონი, თუ-კი მართალი მდგიარხა! ცოტა რამეს მაინც გამორჩებოდა კაცი!“**

ნათლობის დღეს, როცა ღვინომ ყველას ნაართა გაანაკუა და მორიდებუნის უნარი, გლეხი სამადაკე და ანზაورი ბესარონ ქამეშაძე ნაეჩხუბნენ ერმანესეს. აქაც ამპარტავნობამან იჩინა თავი.

„ — **გაწყინა პატიოსანმამ, ყაზახო?!** — შუბლეკრილ მამ და მოსკენ გამონუფულ სამადაკეს ისე ღონენრად ნაკარა ბლიკეი გულმოსულმა, რომ ეს კაცი საკოდაკად დაენარცხა მიწაზე.

დიაქმული უცბად ნამაყენეს, ამან იგი თითქო გამოაფხიზლა, ათოროლეტული, გაბრაზებული, იგი მთელი სხეულით ცახცახებდა და თავდაპარეულში სიტყვის წარმოთქმა არ ეხერხებოდა.

„— **ყაზახი ვარ!** — შეპყარა მან, ნელი გამართულმა, — **ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის ანზაورეული კიდევ ვჯობიკარ!.. თუ ძალაზედა, მობრძანდი, ახლა მობრძანდი, ისე დაგბუნნო, რომ ლობემდისაც ვერ მიგაყვეს შენი დამშეული სული!.. შენისთანა ანზაورეულების რა მეცოდნა?..“**

ატყდა ჩხუბი, ეეშა-ტყდა...

ისე გამოჩეულიდა, ერთი მხრივ, ეკვირნეკილობით გამოწვეული ამპარტავნობა და, მეორე მხრივ, სიმდგომით, ეროვნული შეძლებით დაბადებული ეკუზეზეიადობა.

ეს ამპარტავნობა-გულზეიადობა უშლის მათ ხელს, დაამყარონ ერთმანეთში ადამიანური სათნოება და სიყვარული.

ანზაورს ფეხით სიარული არ შეშლენს და ეტაკარნ სამანაშვილი მზად არის, მჭრის თვალის მოსაკუეეტლად, ჯაგვალეი ცხენი ინაჩარალის („**სამანაშვილის ფეფინაცვალი**“).

ფეხდადეგ მიმყვეთოდა უკან ეტაკარნი თავის „ბეგაურს“, რომ ბაზდ ადგოკატი ივანე ბეგოდეკაძე წამოწერა და იძულებული გახდა, ამხედრებულიყო. მთელი ეს სურათი ნათლად ავლენს, ეტაკარნიკი ამპარტავნობის გამო, როგორი ვეინაჩრობით ადგილობრივ შეინარჩენონ ანზაورობის პეწი. თუმცა იგი დიდი ხანია გაეხუნდა და მოსგან აღარაფერი დარჩა.

ჯიმშერ ყალთაბერიძის ოჯახში სტუმრობდნენ. ლეონით გამაყვარალმა კიბრილე მოძინოშეულა გასცა ალეგორ სამანაშვილის მოგზაურობის მიზანი.

„ — **ერთი უშელო დედაბერს დეეფმეს საფეფინაცვლოდ და მითხარით, ჩემ ბატონო, ჩემ ბატონო მიამეფენია... დაფიდეკ უკან მეფბანარიეთ!.. ეკეგ, ბიძია, ეკეგუეტბოფეს სამეს უშეელო დედაბერი და ამ ემანფილ ეკეგ ალელ დაუშმანინო!..**

პლატონი გაშრა, სარცხვილისაგან ცოცხლებში აღარ ერია“.

დაეკი კლდიაშვილის პერონალებისათვის მნიშვნელობა და ფასი ნამდვილს კი არა აქვს, არამედ — მორწყნეტის. მთავარია მოწეეტენიათ მხარე იქნეს შენარჩენებული. თუ ეს ილუზია დაირღვა და სინამფვილე გაშიშვლდა, მაშინ მორძეოლაკეებს, სამანიშვილეკს, ქამეშაძეკს, ქარსიძეკს ამპარტავნობა და პატეიმოცავრობა შეურაცხყოფილი და დაფიცრებულია. ამის ატანა კი მათთვის მეტისმეტად ძნელია. მათი სული ბორგავს, ვერ ისვენეს. მწუხარება, დარდი, კიეშნი გარდაუვალი ხდება. თითოეული მათგანი საკუთარი ამპარტავნობის მსხვერპლად იქეეკვა. ზოგჯერ ეს სასაცილოდ გამოიყურება, ზოგჯერ კი — შემაძინრნენებელ უეფფრებად. მაგრამ ამას არაეინ უნეეს ანგარიშს. ამაზე არაეინ ფიქრობს. კუდაბზიკობა ამარტყნის სიმართლეს.

სამანაშვილ მორძეოლაკეს შინ ერთი ქოთანი ლობიოც არა აქვს, მაგრამ, როგორც გულუხეი და დარდიმანდი მასანინეკეი, კალთას ახეეს სტუმრის, ვახშმად დარჩით! („**სოლომან მორძეოლაძე**“).

სტუმარი არ დარჩა. შინ დაბრუნებულ სოლომანს ცოლი საყვედურით შეეხვდა:

„ — **აბა, რომ ეპატეეუბოდი ინ კაცს, რა ეკეგუბეოდა სახლში მისატანადეკ?** ნეტავი შენ კუდა-ბზიკობა არ ეკეთრებეს და სხვა არა მინდა რა!.. **რომ დარჩენილიყო, რას აპირობადი?!“**

თვითდაცინეთი და ირონიათ არის საეეე სოლომანის პასუხი.

„ — **ერთი, ორი შეკატიეეთ რავა დარჩებოდა. შე ქალო!.. ეკადამთეილი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იყოდეს... შვეკპატეეე

მშვიდა ქალი — **„ალბათ შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგონია, რა ვადა დაუნიშნეს“.**

როცა ამ სიტყვებს კითხულობთ, სული გეყინებათ, ლამის გული გაგისკდეთ: სადამდე შეიძლება იყოს ცრუმორწმუნეობით დაბნელებული ადამიანის გონება. რა საშინელი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მიამიტობამ და უმეცრებამ. ბუნებით კეთილი და სათნო ბერიკაცი არაცნობიერად მკვლელი გახდა. და ეს ჩაიდინა „კეთილი მიზნით“ — ჯიშის, მოდგმის გადარჩენის სახელით.

მთელ სოფელს სჯერა, რომ ფეფენა კუდიანია (**„მსხვერპლი“**). ყველას ეშინია მისი. ფეფენა კი ნამდვილად ერთი გაჭირვებული, გაუხარელი ქალია. იგი წუთისოფლის სიმძიმემ უკმეხ და პირქუშ ადამიანად აქცია. ასაკით და ცხოვრებით მოტეხილ ფეფენას ვერ აუტანია ახალგაზრდა რძლის, მარინე ხმელაძის, სიხალისე, სილაღე, მხიარულება. დედაბერს ეშინია, ლამაზი და ცქრიალა მარინე ვინმემ არ აცდუნოს და ოჯახს თავი არ მოეჭრას. ეს შიში მას მერე გაუძლიერდა განსაკუთრებით, რაც აზნაურ დავით კარუგდელიძისა და რძლის მეგობრული ურთიერთობა შენიშნა.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა რძალ-დედამთილი ერთმანეთს. ფეფენამ სძლია მარინეს. სიცოცხლით სავსე ყმაწვილი ქალი ჩამოხმა, ჩამოღრა, გაყვითლდა და დაჭკნა. მძიმე სნეულს დაემსგავსა. სოფელში კი ხმა დაირხა, კუდიანმა დედამთილმა მარინეც კუდიანი გახადაო. მაშინ მარკოზა ხმელაძემ შვილის შინ წაყვანა გადაწყვიტა. მაგრამ მარინე იმდენად იყო დამფრთხალი და დაძაბუნებული, რომ მამას ემუდარებოდა — **„გამიშვი, შენი ჭირიმე, ჩემო მამა... მომკლავენ, მამა!..“** სულიერმა ტერორმა სრულად უნებისყოფო გახადა იგი.

მარკოზა ხმელაძეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „ეხსნა“ შვილი კუდიანობისაგან. „საიქიოში ნამყოფმა“ ვასილა კარიკაძემ „გამოტეხა“ მარინე და ათქმევინა — ჩემმა დედამთილმა შემაცდინა და დამაჭერინაო კავშირი ეშმაკთან.

შვილის უბედურებით გადარეულმა მარკოზა ხმელაძემ გავარვარებული ნალით დადაღა ფეფენა. ნაწამებმა, ღონემიხდილმა და დაოსებულმა მარინემ ვერ გაუძლო ამდენ საშინელებას და დედის ხელებში დალია სული.

შემზარავია მარინე ხმელაძის ბედი, მაგრამ უფრო შემაძრწუნებელია სოფლის კმაყოფილება მარინეს ეშმაკისაგან „გასამაგისუფლებით“.

საშინელი და თავზარდამცემია სწორედ ის, რომ ბოროტებას ჩადიან გულწრფელი, მართალი და პატიოსანი ადამიანები, რამეთუ უმეცრების, სიბნელის, ცრუმორწმუნეობის გამო არა უწყიან, რას აკეთებენ. ბოროტების აქტი აღესრულება კეთილის სახელით. დ. კლდიაშვილი ხატავს სამყაროს, სადაც, საუბედუროდ, თავდაყირაა დაყენებული რწმენა, თავმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული. ამ სამყაროში რწმენად ცრუმორწმუნეობაა მიღებული, თავმოყვარეობად — ამპარტავნობა, მოყვასის სიყვარულად — მოყვასის მოტყუება-გაცუცურაკება. ადამიანის ღირსება ხურდავდება ლუკმაპურად.

ომან ქამუშაძეს უყვარს ძმა, მაგრამ ცრუმორწმუნეობის გამო მასაც, სოფელთან ერთად, სჯერა, რომ მისი რძალი, ლევან ქამუშაძის ცოლი ეფროსინე კუდიანია. ომანი შვილის, კოწიას ავადმყოფობას ეფროსინეს აბრალებს. კეტით მოსაკლავადაც მიუვარდება ომანი ძმასა და რძალს. ვინ იცის, რა ცოდვას დაატრიალებდა ომანი, ოტია ქამუშაძეს რომ არ ეყოჩაღა და ბიძისთვის კეტი არ წაერთმია.

გამოიკვეთა დავით კლდიაშვილის მეორე ძირითადი პერსონაჟიც — **სიღარიბით და ცრუმორწმუნეობით დაბეჩავებული კაცი.**

როცა დავით კლდიაშვილის პროტაგონისტების თავგადასავალს ვკითხულობთ, ზოგჯერ მათი ამპარტავნობა ღიმილს გვგვრის და სიცილის გუნებაზე გვაყენებს, მაგრამ მათი სიღარიბე, სიბეჩავე, ცრუმორწმუნეობა და საცოდაობა ყოველგვარი ხალისის სურვილს გვართმევს და იწვევს სიბრალულს, თანაგრძნობას, თანალმობას. ღიმილი პირზე გვაშრება. როგორც კი მივხვდებით ორ ჭეშმარიტებას: პირველი ის, რომ გაჭირვებული ადამიანი შეუძლებელია იყოს დაცინვის საგანი და მეორეც ის, რომ როგორებიც არიან ადამიანები, ისეთია ქვეყანაც. თავის სამშობლოს სიბეჩავესა და გაჭირვებას კი არავინ დასცინის ამ ქვეყნად. ქართველი კაცის ჭაპანწყვეტას დ. კლდიაშვილი გამკილავი თვალით კი არ უყურებდა, არამედ — თანაგრძნობით, თანალმობითა და სიყვარულით სავსე გულით. და თუ ხანდახან მწერლის ჭკვიან და კაეშნიან სახეს სევდიანი ღიმილი გაანათებს, ეს იმედია, ჩანერგილი იმათგან, ვინც, როგორც თავად ბრძანებს, გული სიყვარულით გაუთბო, ასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა.

ნახ. გ. ფირცხალავასი

— **„ამას რავა ვაპატიებ მაგ სტაქანს?!“**

ნახ. ჯ. ლოლუასი



ჩვენს ცივილიზებულ ეპოქაში არც ისე ძნელია წარმოუდგენელი წარმოიდგინო ან დაუჯერებელი დაიჯერო.

თუ ეს ასეა, მაშინ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საკუთარი იუბილეს დღეებში საქაოს მოევლინა დავით კლდიაშვილი და შეხვდა თავის გმირებს.

მილოცვების შემდეგ გაიმართა გულითადი საუბარი.

მწერალმა კაროჟნას მიუალერსა და ჰკითხა, როგორ ხარ, ჩემო კაროჟნა, თუ გათხოვდი?

— კარგად, ბატონო! მე ვიცი, თქვენ ჩემი დარდი გაგყვათ, მაგრამ ყველაფერი ნორმალურადაა. გავთხოვდი და ქალაქში დავსახლდი. ჩემი შვილიც მალე გეახლებათ!..

მწერლის წინ შეზარხოშებული კაცი გამოიჭიმა.

— ბოდიში დაგვიანებისათვის, ბატონო დავით, ბაბუაჩემის მაგივრად გეახელით!

მწერალმა შუბლზე ხელი მოიჩრდილა:

— რომელი ხარ, შვილო? რაცხა ვერ გიცანი!..

— ჩემს დარისპანს ისეთი გამართული ოჯახი აქვს, ქალიშვილს რომ გათხოვებს...

მწერალი შეკითხა:

— ჩემო კაროჟნა, შენ უკვე ბებიაც ხარ?

კაროჟნამ გაიღიმა:

— ასე გამოდის, ბატონო დავით!

— შვილიშვილი დიდია?

— მეცხრამეტეშია! — უპასუხა დარისპანმა.

— იმას ენაცვალოს ბებია! ერთი მაგის გათხოვებას მოვესწრებოდე და მეტი არაფერი მინდა! ჰო, იმას მოგახსენებდით, ბატონო დავით, ჩემი დარისპანი ისეთი წელგამართულია, ქალიშვილს მანქანასაც გაატანს მზითევში...

— ფეხისას თუ ხელისას? — იკითხა მწერალმა.

დედამ და შვილმა ერთმანეთს გადახედეს, მერე გაკვირვებულებმა მწერალს შეხედეს.

— ჰო, რა გიკვირთ, საკერავი მანქანა ხომ ხელისაც არის და ფეხისაც?!

კაროჟნამ სიცილი ვერ შეიკავა.

შეხვედრა საკუთარ გმირებთან

— კირილეს შვილიშვილი ვარ, ბატონო დავით!

საუბარში პლატონი ჩაერია:

— დიახ, ბატონო, სმაში მართლა დაემსგავსა ბაბუამისს, მარა, მისგან განსხვავებით, აყალმაყალი არ უყვარს. ისე, კარგი დაფასებული კაცია, ხელობაზე მუშაობს.

— ქალაქში? — იკითხა მწერალმა.

— დიახ, ჩვენ მთელი ოჯახითა და ნათესავებით დიდი ხანია ქალაქში გადავსახლდით!..

მწერალს შუბლი შეეკრა და კაროჟნას გადახედა.

— აი, ჩემი დარისპანიც გამოცხადდა! — წამოიძახა კაროჟნამ და თავისი შვილი დავითს წარუდგინა.

— როგორ, დარისპანი ჰქვია?! — გაიკვირვა მწერალმა.

— დიახ, ბაბუას სახელი დავარქვი! — უპასუხა კაროჟნამ.

— როგორ ცხოვრობ, შვილო, ხომ არ გიჭირს? — ჰკითხა მწერალმა დარისპანს.

— გმადლობთ, ბატონო დავით, არა მიშავს... — დაიწყო დარისპანმა, მაგრამ კაროჟნამ არ დააცალა:

— რას ბრძანებთ, ბატონო დავით! საკერავი მანქანა ჩვენს დროში ვის რად უნდა?! ახლა ავტომანქანაა მოდაში!

— ავტომანქანა მზითევში?! — გაოცდა მწერალი.

— დიახ, ბატონო დავით! — დაუდასტურა დარისპანმა.

— ეგ ერთობ გასაკვირია, — ჩაილაპარაკა მწერალმა და კაროჟნას ჰიმართა, — გამოდის, რომ „დარისპანის გასაჭირი“ საერთოდ მოისპო?!

— მთლად მასე არაა, ბატონო დავით! სიმართლეს თუ ვიტყვით, ჩემს დარისპანსაც აქვს გასაჭირი და — არანაკლები, ვიდრე მამაჩემს ჰქონდა...

უცებ მწერლის წინ მუხლებზე დაეცა მხარბეჭიანი კაცი.

— ნება მომეცით, ბატონო დავით, მოგილოცოთ სახელოვანი იუბილე!

მწერალმა სათვალე შეისწორა, კაცს მიუახლოვდა და წამოაყენა.

(დასასრული მე-10 გვ.)

— ადექი, საყვარელო, ადექი!

პლატონი მწერალს მოუბრუნდა:

— ბატონო დავით, ვერ იცანით, ხომ? ეს ჩემი ძმაა, ილიკო!

— ღმერთო ჩემო! — შეიცხადა მწერალმა, — შენ ბეკინას შვილი ხარ?!

— დიახ, ბატონო!— უპასუხა ილიკომ.

მწერალმა პლატონს შეხედა:

— ძმები ხომ კარგად ხართ ერთმანეთში?

— ძალიან კარგად! — მიუგო პლატონმა.

— საჩხუბარი რა გვაქვს?! — გაიცინა ილიკომ.

— პლატონ, ილიკოს თუ ეხმარები?

პლატონმა გადაიხარხარა.

— მაგას ჩემი დახმარება რად უნდა, როცა თვითონაა სოფლის თავკაცი!

— შვილო, მიწა ხომ გაქვს საყოფინარი?

ახლა ილიკომ ვაიცინა.

— რას ბრძანებ, დავით ბატონო, მიწების მეტი რაა, ყველა ჩემი არაა?!

მწერალი ერთხანს ჩუმად იყო. მერე კაროჟნას უთხრა:

— შენ დარისპანზე ამბობდი რაღაცას!..

— დიახ, ბატონო დავით, დარისპანი ნამდვილად გასაჭირშია! საქმე ისაა, რომ, ამ ჩემი ცოდვით სავსემ, ამოიჩემა, ქალიშვილი საექიმოზე უნდა მოვაწყოო. თვითონაც იტანჯება და შვილიც გატანჯა. მესამე წელია, გამოცდებზე გაჰყავს და ვერა და ვერ მოაწყო.

— ასე ძნელია?

— ნამეტანი, ბატონო დავით, ძალიან გაძნელდა, დიდი კონკურსია. დარისპანს ერთი ჰყავს მოსაწყობი, სხვას — ორი, ზოგს — უფრო მეტი...

— ერთობ გასაკვირია, — ჩაილაპარაკა მწერალმა და მერე კაროჟნას ჰკითხა, — ერთი მითხარი, გეთაყვა, ბავშვები უმაღლესში ხომ თვითონ აბარებენ? ვერ გამიგია, რას ნიშნავს „მოწყობა“?!

— რა თქმა უნდა, თვითონ აბარებენ, მაგრამ, ხომ იცით... ისე, თვითონ ეწყობიან!

— ბეკინა სად არის? — მოულოდნელად იკითხა მწერალმა.

— მამა ბატონი შეუძლოდ იყო, ბატონო დავით, ამიტომ ვერ გეახლათ! — მოახსენა პლატონმა.

— რა დაემართა? — იკითხა დავითმა.

— ევროპაში მოგზაურობისას გაცივდა და მერე ვერ გამოკეთდა.

— ევროპაში რა უნდოდა? — გაიკვირვა მწერალმა.

— მოგახსენებთ, ბატონო. მამა ბატონი, მე, ჩემი დეიდაცვალი მელანო, კირილე და სხვები ერთად წავდექით გერმანელ მაყურებელთა წინაშე!

— გერმანიაში?!

— დიახ, ბატონო დავით, პირდაპირ გერმანიაში! — მიუგო პლატონმა.

მწერალმა წვერებზე ჩამოისვა ხელი.

— შენ რომ არ ლაპარაკობდე, პლატონ, სიმართლე გითხრა, სხვას არ დავუჯერებდი. ახლა ბარემ ისიც გამაგებინეთ, რა ენაზე ლაპარაკობდით იქ?

პლატონმა მხრები აიჩეჩა.

— როგორ თუ რა ენაზე?! რა თქმა უნდა, ქართულად.

— გაგიგეს მერე?

— რა თქმა უნდა!

უსაზღვროდ გახარებული, აღელვებული, ბედნიერი და კმაყოფილი მწერალი საყვარელ გმირებს გამოეთხოვა და მოჩვენებასავით გაქრა.

გიგლა გახტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის რა ათქმევინა და ვისზე რა თქვა დავით კლდიაშვილმა

●

● **დაპატიმრებულ მექრთამეს:** „რავა არ უნდა მომკლას ჩემმა პატრონმა?! რავა არ უნდა მომკლას?! რავა ვარ შესაბრალებელი?!“

● **მილიციელს, რომელმაც დამნაშავე დააკავა:** „შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა!“

● **რედაქტორს — გრაფომან ავტორზე:** „მაგ ოხერი კიდევ მეეთრა?! რა მინდაო?!“

● **მობინადრეს — სარემონტო კანტორის მუშაკებზე:** „აოხრდა თქვენი პატრონი, რავარც თქვენ აქაურობა ააოხრეთ!“

● **„სტუმართმოყვარეს“:** „აბა, რათ მინდა ოჯახი, თუ ჩემთან მოსული კაცი არ დავათვრე, არ დავალევიე რჯულზე?! რომ ასე არ ვუქნა, მასთან რომ მივალ, აღარც მე დამალევიებს და წყალნასვამს გამომისტუმრებს... რაზე ვუმტრო ჩემს თავს? რატომ ვქნა ეგ? ხა, ხა, ხა! სულელი ვარ?“

● **უსაქმურსა და მოქეიფეს:** „ორიოდე დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ევივსო, მოლხენა დავიკლო და ისე წავაყრევინო ზედ მიწა?! შენც არ მომიკვდე!.. მაგაზე მეტი სისულელე იქნება?!“

● **დაზარალებულს — გამომძიებელზე:** „განა დღესავით ნათელი საქმე არაა?! გამოძიება ეჭირვება კიდევ თუ?!“

● **პროტეჟეს — პროტექტორზე:** „შენებურად მომიკვახჭინე ეგ საქმე!“

● **აბონენტს — ატეესზე:** „ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზედ ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ჩემი ორი თვის წანწალიდან?“

●

● **მუქთახორაზე:** „მოშივებულ მგელივით აღარაფერს აღარ ერიდებოდა“.

● **გამომძალველზე:** „ერთხელ მის ხელში ჩავარდნილი პირი ძნელად თუ დაუძვრებოდა, სანამ მისგან არ გამორჩებოდა, რამდენის გამორჩენაც შეიძლებოდა“.

● **ბიუროკრატზე:** „ბევრ ადგილას ისმოდა მისი ორპირობისა და გაუტანლობის ამბები, კაცის შეუბრალებლობაც“.

● **მომხვეჭელზე:** „იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა, თუ რამდენ გამოსარჩენს იშოვიდა“.

● **ჭორიკანაზე:** „მაგ მყრალ ენას სამიდღემჩიოთ დაგიდუმებ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაობელა

დარისპანის გასაჭირი

დარისპანს სამი ქალიშვილი ჰყავდა. სამივეს ასწავლა და მერე ყველა ქალაქში გაათხოვა. (უკაცრავად, გათხოვდნენ!) დარისპანმა „მეზობლების თვალების დასათხრელად“ ყველას მდიდრული მზითევი მისცა.

ჰოდა, დარჩა დარისპანი სოფელში მარტო, არადა სახლს კარს, ვენახს, საქონელს მოვლა უნდოდა, ხოლო ქალიშვილები და სიძეები მხოლოდ შემოდგომით აკითხავდნენ. შეწუხდა დარისპანი და... სიბერის ჟამს კიდევ ერთი შვილი გააჩენინა ცოლს (ისიც ქალიშვილი გამოადგა!).

*

ირინეს ბედნიერება

ირინე მამამ „დიდ კაცს“ მიათხოვა, თავიდან ქალიშვილი უარობდა, მაგრამ მამამ თავისი გაიტანა.

— შვილო, ეგ კაცი მეფისტოლა კაცია, მაგრად ცხოვრობს და ჩიტის რძეც არ მოგაკლდება!

... ქორწილში, მართლაც, ჩიტის რძეც კი არ აკლდათ!.. გაბრიყვებულმა ირინემ დაივიწყა ყველაფერი და განცხრომას მიეცა, მაგრამ.. მალე მის ქმარს, სადაც ჯერ არს, იქ უკრეს თავი და ახალგაზრდა ირინე სანახევროდ დაქვრივდა!..

*

სამანიშვილის დედინაცვალი

მოხუცმა ბეკინამ ცოლის შერთვა გადაწყვიტა! დატრიალდა პლატონი: ეგება ისეთი დედინაცვალი ვიშოვო, უმაღლესში მომანყოსო! ეძება, ეძება და მიაგნო შინაბერა ლექტორ ქალს. რომელთანაც მალე გაჩარხა კიდეც საქმე.

მაგრამ დედინაცვლის მიერ ჩაწყობილი საქმე გასკდა და... იგი სამსახურიდან გამოაგდეს!

ახლა სასამართლოში ხშირად ნახავთ მომჩივან „ნალექტორალს“, რომელიც ჩივის, გერი აფერისტსა და უშნოს მეძახის. შეურაცხყოფას მაყენებსო.

პლატონი აპირებს მამამისიც ამ ქალის ბინაში შეიყვანოს ზედსიძედ, — ესეც შეღავათიაო!

*

ქამუშაძის გაჭირვება

პორფირ ბიაშვილი „ჟიგულით“ ესტუმრა ოტია ქამუშაძეს — ახლახან დისერტაცია დავიცავი, ჩემო ოტია, და დროა ბაღნები მოვამზადო, შენ ამ სოფელში მომინახე „პინგვინები“, მე კი სხვა სოფელში გადავიარ!..

ოტიამაც მოუნახა აბიტურიენტები, მაგრამ ისიც გაიგო, პორფირი ამ გზით „მაგარ მაყუთს ღუნავსო“ და თვითონაც ლექტორობა განიზრახა. არადა, მასწავლებელი იყო. სკოლაში კი ისე ასწავლიდა ბავშვებს, რომ ყველანი პორფირისნაირ ხალხს უვარდებოდნენ ხელში!..

რომან ზუკაკიშვილი
(საგარეჯოს რ-ნი)

ნახ. ბ. ფირცხალავანი



„ერთი მოვიშორე, როგორც იქნა, მეორეს და მესამეს რაღა უყოს კაცმა?!“

ჩვენი სალამი

მაშვალ სოლომანს სალამი! — ენით და ჯორით
იდიდე! —
შენ სიღატაკეს მალავდი, ახლა მალავენ სიმდიდრეს!
დიდ სახლს იშენებს პლატონი, ცისფერი „ვოლგაც“
ეღირსა
და — მილიონის პატრონი — მანეთს სესხულობს
სხვებისგან!..
რას იზამ, სხვა დრო დაუდგა, უნდა ატაროს ნიღაბი,
თუმც ახსენებენ აუგად, ღაბაბს რომ იზრდის
ღიპამდი!
კირილე დარჩა ოხუნჯად, ღვინოშიც მრავალს ერქინა!..
დღეს მოდაშია მოხუცი, მაგრამ მდიდარი ბეკინა!
მაშვლობის ჟამიც წასულა (რად გვინდა ამის დაფარვა?!)
დღეს არ ითვლება პატარძლად, ვინც ვერ ახერხებს
გაპარვას!
მელანოს კლავდა პლატონი — ორსულს, ორი ქმრის
ნაქვრივალს!..
დღეს გვენატრება, ბატონო, — ფეხმძიმე ქალის ნახვა-
ხილვა!

გიგა მახვილაძე



„ქეიფის მეტი რომ არაფერი გაგონდება, ნეტავი შენ, მე უბედურო!“

7-83

83-121

ნახ. ზ. ფოტაჩხიძისა

— ნამეტანი კაი გოგოა, შენ ნუ მომიკვდები!
— მარტო კაი გოგო და მისი მზითევი მეყოფა მე?! რა აქვს ხელფასი და სად მუშაობს მამამისი?!

121
14.11 83

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" №2 (1675) იანვარი, გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარი - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბუეან სიხარულიძე (პასუხისმგებელი მდივანი), გიგლა ფირცხალავა, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფწივაძე, ვაჟა ჭანიშვილი (მთავარი რედ. მოადგილე), ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 23. 12. 82 წ. ხელმოწერილია სადაბეჭდად 28. 1. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ღენინის, 14. შეკვეთა № 3011 უე 06900. ტირაჟი 136.000. ჟურნალი გამოდის თეკში ორიგინალ-მაკეტიდან. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი №42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, გ. ხუციშვილებათა კამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ. მუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии. Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76135